

- ამბები
- პოლიტიკა (<http://24saati.ge/index.php/category/news/politics>)
- უცხოეთი (<http://24saati.ge/index.php/category/news/world>)
- რეგიონი (<http://24saati.ge/index.php/category/news/region>)
- ინტერვიუ (<http://24saati.ge/index.php/category/news/interview>)
- სამართალი (<http://24saati.ge/index.php/category/news/justice>)

[ახალი ამბები >> \(http://24saati.ge/index.php/news\)](http://24saati.ge/index.php/news)

## თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდა გამართება

2010-01-21

არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივა” დღეს “ორჰუსის ცენტრში” თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით მრგვალ მაგიდას გამართავს.

როგორც “ინტერპრესნიუსს” არასამთავრობო ორგანიზაციიდან აცნობეს, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დოკუმენტის, საჯარო განხილვებისა და სხვადასხვა დაინტერესებული პირის წინადადებების საფუძველზე “მწვანე ალტერნატივამ” შენიშვნები და კომენტარები მოამზადა. შეხვედრაზე დისკუსია გამართება პროექტის საჭიროებაზე, ალტერნატიულ მარშრუტებზე, პროექტის ეკონომიკურ დასაბუთებაზე, სოციალური ზემოქმედებაზე ნარჩენების მართვისა და სხვა საკითხებზე.

მათივე ცნობით, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის მთლიანი ღირებულება 290 მილიონ ევროს შეადგენს, რომლის დაფინანსება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის, დონორთა მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი საერთაშორისო დახმარების ფარგლებში იგეგმება. პროექტის მიზანია სარკინიგზო ოპერაციების უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გაზრდა. პროექტის ფარგლებში ახალი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა და “დიდუბისა” და “ნავთლულის” სარკინიგზო სადგურების მოდერნიზება იგეგმება.

ამ დღის სხვა სიახლე

- [20:14 სარფი-კვარიათის აკვატორიაში დაივიწყის ცენტრი იქმნება \(http://24saati.ge/index.php/news/2010-01-21/2980\)](http://24saati.ge/index.php/news/2010-01-21/2980)
- [20:13 2009 წელს საზღვარგარეთიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ხორბალი და მილისინი შემოვიდა \(http://24saati.ge/index.php/news/2010-01-21/2979\)](http://24saati.ge/index.php/news/2010-01-21/2979)
- [20:11 გორის არქივი ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩაერთო \(http://24saati.ge/index.php/news/2010-01-21/2978\)](http://24saati.ge/index.php/news/2010-01-21/2978)